

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო**

---

ქ. ბათუმი

01 ნოემბერი 2011 წელი

**გადაწყვეტილება № 1**

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში  
2012-2013 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტისა  
და პროგრამული დაფინანსების განსაზღვრის შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ/შ მ. ჯორბენაძის, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ. ჭიჭილეთაძისა და მუსიკის ფაკულტეტის დეკანის ლ. ჭელიძის მოხსენებითი ბარათების, აკადემიური საბჭოს 2011 წლის 24 ოქტომბრის № 74 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 74 (სამოცდაათოთხმეტი)-ით.

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

ფერწერა - 3 ადგილი;

არქიტექტურა - 7 ადგილი;

ინტერიერის დიზაინი - 7 ადგილი;

ტანსაცმლის დიზაინი - 7 ადგილი;

კინორეჟისურა - 5 ადგილი;

დრამატული თეატრის რეჟისურა - 2 ადგილი;

დრამისა და კინოს სამსახიობო - 8 ადგილი;

დრამისა და კინოს სამსახიობო (მიზნობრივი ჯგუფი) – 5 ადგილი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება ( IV საფეხური) -10 ადგილი;

კინო-ტელე ოპერატორი ( IV საფეხური) -10 ადგილი;

ქორეოგრაფ-რეჟისორი ( IV საფეხური) -10 ადგილი.

2. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 40 (ორმოცი)-ით.

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

ხელოვნებათმცოდნეობა -10 ადგილი;

კინომცოდნე -10 ადგილი;

კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი - 20 ადგილი.

3. მუსიკის ფაკულტეტზე მისღები კონტინგენტი განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) - ით.

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** (აკადემიური სიმღერა, ფორტეპიანო, აკადემიური დირიჟორობა, საორკესტრო (სიმებიანი; სასულე) მუსიკის თეორია) - 15 ადგილი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

ჯაზი (ინსტრუმენტალისტი/ვოკალისტი - V საფეხური) - 10 ადგილი.

4. 2012-2013 სასწავლო წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ბაკალავრიატში მისაღები კონტინგენტის პროგრამული დაფინანსებისათვის გამოიყოს შემდეგი ადგილები:

**სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი - 14 ადგილი**

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

ფერწერა - 1 ადგილი;

არქიტექტურა - 2 ადგილი;

ინტერიერის დიზაინი - 2 ადგილი;

ტანსაცმლის დიზაინი - 2 ადგილი;

კინორეჟისურა - 2 ადგილი;

დრამატული თეატრის რეჟისურა - 1;

დრამისა და კინოს სამსახიობო - 2 ადგილი;

დრამისა და კინოს სამსახიობო (მიზნობრივი ჯგუფი) - 2 ადგილი.

**მუსიკის ფაკულტეტი - 5 ადგილი**

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

აკადემიური სიმღერა - 2 ადგილი;

ფორტეპიანო - 1 ადგილი;

აკადემიური დირიჟორობა - 1 ადგილი;

მუსიკის თეორია - 1 ადგილი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

ჯაზი (V საფეხური) - 2 ადგილი.

5. საორკესტრო (სიმებიანი, სასულე) საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით ჩარიცხულ ყველა სტუდენტს მიეცეს პროგრამული დაფინანსება.

6. მე-4 პუნქტით გამოყოფილ ადგილებზე პროგრამული დაფინანსება განხორციელდეს ბაკალავრიატში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირველი კურსის სტუდენტებზე.

7. ცნობად იქნას მიღებული, რომ ფაკულტეტების სპეციალობებზე კონტინგენტის გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს დეკანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

9. აღნიშნული დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

10. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს**

**სპიკერი**

**თამილა მეიშვილი**